ნაწილი 1: გამოკითხვის ჩატარება

გამოკითხეთ 3 ადამიანი თქვენ ირგვლივ (ოჯახის წევრები, ნათესავები, ან მეგობრები). უთხარით, რომ იკვლევთ ფასის ცვლილების გავლენას მომხმარებელზე, იყიდოს თუ არა ეს ნივთი. გამოკითხვა ანონიმურია და თქვენ ჩაიწერთ მხოლოდ რაოდენობას და არა სახელებს. გამოკითხვა მხოლოდ 5 წუთს წაიღებს.

კითხვები, რომელსაც დაუსვამთ რესპონდენტებს:

- ვთქვათ, თქვენი საყვარელი შოკოლადი ღირს 2.5 ლარი და თქვენ მას ამ ფასად ყიდულობთ კვირაში სამჯერ.
- წარმოიდგინეთ, რომ გაიაფდა და 2 ლარი გახდა, ისევ იყიდით? კვირაში რამდენს?
- წარმოიდგინეთ, კიდევ გაიაფდა და 1.5 ლარი გახდა, იყიდდით? კვირაში რამდენს?
- ახლა წარმოიდგინეთ, რომ პირიქით - 2.5 ლარი როცა ღირდა, გაძვირდა და 3 ლარი გახდა, ისევ იყიდდით? თუ კი, კვირაში რამდენს?
- 3.5 ლარი რომ გახდეს იყიდდით? თუ კი, კვირაში რამდენს?
- 4 ლარი რომ გახდეს იყიდდით? თუ კი, კვირაში რამდენს?
- 4.5 ლარი რომ გახდეს იყიდდით? თუ კი, კვირაში რამდენს?

კითხვების დასმას წყვეტთ მაშინ, როდესაც რესპონდენტი გეუბნებათ, რომ ამ ფასად საერთოდ აღარ იყიდდა - უფრო მაღალ ფასზე აღარ ეკითხებით.

იმისდა მიხედვით, რომელ ფასზე რა პასუხს გეტყვიან, შესაბამისად ჩაინიშავთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში: დადებით პასუხზე - ჩაწერეთ რიცხვი, რამდენსაც იყიდდნენ, უარყოფითზე ჩაწერეთ - 0. ბოლო სვეტში კი დააჯამეთ სამივე რესპონდენტის პასუხები. რადგან ვიცით, რომ 2.5 ლარად თითოეული რესპონდენტი კვირაში 3 შოკოლადს ყიდულობს - ეს მონაცემები უკვე ჩაწერილია.

შენიშვნა: თუ პასუხია ჰომ ამ შოკოლადს ახ იყიდდა და სხვას იყიდდა, ან სხვა მაღაზიაში იყიდდა - პასუხში წეჰთ 0-ს, ჰადგან ამ კონკჰეტუღ შოკოლადს ამ კონკჰეტუღ ფასად აღახ ყიდუღობს.

ფასი	რესპონდენტი N1	რესპონდენტი N2	რესპონდენტი N3	ჯამი
1.5 ლარი				
2 ლარი				
2.5 ლარი	3	3	3	9
3 ლარი				
3.5 ლარი				
4 ლარი				
4.5 ლარი				

ნაწილი 2: მოთხოვნის გრაფიკის აგება (ეს ნაწილი არ არის სავალდებულოდ შესასრულებელი)

თქვენ მიერ მიღებული მონაცემები (ფასი და ჯამი) გადმოიტანეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში: ჯამი იქნება მოთხოვნის რაოდენობა, ანუ საქონლის ან მომსახურების (ამ შემთხვევაში - შოკოლადის) ის რაოდენობა, რომლის ყიდვაც სურთ და შეუძლიათ მომხმარებლებს.

ფასი ლარებში (P)	მოთხოვნის რაოდენობა (Q)
1.5	
2	
2.5	9
3	
3.5	
4	
4.5	

ცხრილის დახმარებით ააგეთ შოკოლადზე მოთხოვნის გრაფიკი: ფასები (P) აღნიშნულია ვერტიკალურ ღერძზე, მოთხოვნის რაოდენობა (Q) კი - ჰორიზონტალურზე. საკოორდინატო სიბრტყეზე იპოვეთ და მონიშნეთ თითოეული ფასისა და ამ ფასის შესაბამისი მოთხოვნის რაოდენობის გადაკვეთის წერტილები. შემდეგ კი შეაერთეთ ეს წერტილები - ასე მიიღებთ მოთხოვნის მრუდს.